კონფლიქტების ანალიზის მართვა

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** კონფლიქტების ანალიზისა და მართვის დოქტორი – კონფლიქტების ანალიზი და მართვა

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**
   სრული პროფესორი გუგული მაღრაძე

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

   პროგრამის მიზნები: დოქტორანტურის დონეზე კონფლიქტების მართვის პროგრამის მიზანია მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები კონფლიქტის ანალიზის და მართვის სფეროში, რომელთაც ექნებათ კონფლიქტების შესახებ ღრმა თეორიული ცოდნა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პრაქტიკული უნარ ჩვევები სხვადასხვა კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, მიმდინარე კონფლიქტების ანალიზის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების სფეროში. ამასთან ერთად შეეძლებათ სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის წარმართვა კონფლიქტოლოგიის დარგის მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად და სათანადო ტრენინგების და კონსულტაციების ჩასატარებლად.

   სწავლის შედეგი: დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შედეგად დოქტორანტს ექნება საფუძვლიანი აკადემიური ცოდნა და პრაქტიკული კვლევების წარმოების უნარჩვევები სხვადასხვა ხფეროში კონფლიქტების ანალიზის და მართვისათვის.

4. **პროგრამაზე მიღების წინაპირობები**
   დოქტორანტურაში მიიღება მაგისტრის მქონე ხარისხის კანდიდატი საკონკურსო გამოცდის (გასაუბრების) ჩაბარების საფუძველზე. დოქტორანტს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატი B-2 დონეზე, ან უნდა ჩააბროს სათანადო გამოცდა. შეიძლება ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი კონფლიქტების მართვაში ან სხვა სპეციალობაში.